ეროვნული ბიბლიოთეკა



5, 6, 7 ივნისი JUNE

# თ. ამირეჯიბის სახელობის II საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი

# T. Amirejibi Second International Music Festival

2014

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფესტივალის მხარდამჭერი**
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

**THE SUPPORTER OF THE FESTIVAL**
Ministry of Culture and Monument Protection of Georgia

**ფესტივალის სპონსორი**
თიბისი ბანკი

**THE SPONSOR OF THE FESTIVAL**
TBC BANK

**ფესტივალის ორგანიზატორი**
კომპანია "ბელისიმო"

**THE ORGANIZER OF THE FESTIVAL**
"Bellissimo" Company

**პარტნიორი**
ტურისტული კომპანია

**THE PARTNER**
Tourist Company

**საინფორმაციო მხარდაჭერა**
**INFORMATIONAL SUPPORT**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თ. ამირეჯიბის სახელობის II საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი

# T. Amirejibi Second International Music Festival

5, 6, 7 ივნისი JUNE 2014

ეროვნული ბიბლიოთეკა

5, 6, 7 ივნისი JUNE 2014




თ. ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის ჯილდო
ავტორი: სოფო ეცადაშვილი

T. Amirejibi International Music Festival Prize
Prize Author: Sopho Etsadashvili

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუზომელია უდიდესი ქართველი პიანისტის, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, საქართველოს სახალხო არტისტის, საბჭოთა კავშირის დამსახურებული არტისტის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო კათედრის გამგის, პროფესორ თენგიზ ამირეჯიბის ღვაწლი ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში. ამაზე მეტყველებს როგორც მისი უზადო საშემსრულებლო ხელოვნება, ისე მის მიერ აღზრდილი ქართველ პიანისტთა შესანიშნავი თაობები, პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები.




დიდებული მაესტროს სახელის უკვდავსაყოფად 2013 წელს დაფუძნდა თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი. პირველი ფესტივალი სიმბოლურად მაესტროს მიერ აღზრდილმა პიანისტებმა, მსოფლიოში აღიარებულმა მუსიკოსებმა გახსნეს.

თ. ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი ყოველწლიურად ჩატარდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლები მთელი მსოფლიოდან. კონცერტების გარდა ეს სახელგანთქმული მუსიკოსები მასტერკლასებს ჩაუტარებენ ნიჭიერ ბავშვებს, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს ინტერესს კლასიკური მუსიკისადმი და საშუალებას მისცემს ჩვენს საზოგადოებას ეზიაროს იმ ჭეშმარიტ ხელოვნებას, რომელსაც ასე უხვად უწილადებდა თენგიზ ამირეჯიბი თავის საყვარელ ხალხს.

Tengiz Amirejibi – the legendary Georgian pianist, Professor, the Head of the Piano Department at the Tbilisi State Conservatoire, Rustaveli and State Prize laureate, People's Artist of Georgia, the Honored Artist of USSR. His contribution into the history of Georgian musical culture is invaluable. This is witnessed as by his flawless performing art, so by the wonderful generation of pianists, laureates of prestigious competitions whom he brought up.

Tengiz Amirejibi International Music Festival was established in 2013 in order to commemorate the glorious name of Maestro. The first festival was opened symbolically by Maestro's students, worldwide famous musicians.

T. Amirejibi International Music Festival will be held annually. A lot of prominent musicians from the whole world will participate in it. Besides the concerts these celebrities will give master classes to the gifted children that will profound more interest to classical music and will give an opportunity to our society for getting acquainted with the real art which Tengiz Amirejibi shared with his beloved people.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მივესალმები თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს, მის ყველა მონაწილეს, მსმენელს და კლასიკური მუსიკის მოყვარულს.

მოხარული ვარ, რომ თბილისი უკვე მეორედ მასპინძლობს ამ ფესტივალს.

კლასიკური მუსიკის თანადგომა და მისი ტრადიციების განვითარება კულტურის სამინისტროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. საამაყოა, რომ თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალურმა ფესტივალმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს კულტურულ და მუსიკალურ ცხოვრებაში და უკვე ფართო რეზონანსი შეიძინა.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფესტივალი წელსაც ჭეშმარიტ დღესასწაულად იქცევა.

**გურამ ოდიშარია**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

It is my great pleasure to welcome the organizers and all participants of Tengiz Amirejibi International Music Festival, dedicated listeners and simply fans of classical music.

I am really delighted that Tbilisi hosts this festival for the second time.

The festival has secured itself a special place in Georgia's musical life.

Preserving classical music, as well as development of its traditions is one of the major priorities of Ministry of Culture. We are proud that the festival has deserved its distinguished position in Georgian cultural and musical life and had already achieved great recognition and resonance.

I believe that Tengiz Amirejibi II International Music Festival will turn into a real holiday this year as well.

**Guram Odisharia**

Minister of Culture and Monument Protection of Georgia

ეროვნული ბიბლიოთეკა

**"გარეგნულადაც მომხიბლავ მუსიკოსში თანაარსებობს ქალური კდემამოსილება და ვაჟკაცური ძალა. იქნებ, ვაჟკაცური ძალა ჭარბობს კიდეც! ამ ცხოველმყოფელ არტისტულ გაქანებას კალაპოტში ამწყვდევს და მუსიკის მდინარებას შესატყვის მიმართულებას აძლევს". (გაზეთი "თბილისი")**




თამარ ლიჩელი არაერთი ეროვნული და საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი და ჟიურის წევრია. იგი კონცერტებით გამოდის იტალიაში, საფრანგეთში, აშშ-ში, ტაივანში, შვეიცარიაში, ავსტრიაში, გერმანიასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

თამარ ლიჩელმა დაამთავრა ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია თენგიზ ამირეჯიბის ხელმძღვანელობით. სხვადასხვა წლებში სტაჟირებას გადიოდა პროფ. სერჯო პერტიკაროლისთან სანტა-ჩეჩილიას ნაციონალურ აკადემიაში (იტალია) და პროფ. გერჰარდ ოპიც-თან მიუნჰენის უმაღლეს მუსიკალურ აკადემიაში (გერმანია).

თამარ ლიჩელი მოღვაწეობს როგორც სოლისტი, ისე კამერული ანსამბლის წევრი. მასთან თანამშრომლობენ ლიანა ისაკაძე, მარინა იაშვილი, ს. ცინცაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი, კენ აისო, აკიკაზუ ნაკამურა, იური ჟისლინი, ალექსანდრე რუდინი; დირიჟორები - ჯანსუღ კახიძე, ვახტანგ კახიძე, დავით მუქერია, ვახტანგ მაჭავარიანი, დევიდ დელ პინო კლინგე, ტან ლიჰუა, ჯანლუკა მარჩანო. თ. ლიჩელი მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია თამარ ლიჩელის წვლილი ქართული მუსიკის პოპულარიზაციაში. იგი არაერთი ქართული ნაწარმოების პირველი შემსრულებელია.

ამჟამად თამარ ლიჩელი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორია. იგი არის თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

**"In the seemingly attractive musician coexists feminine charm and masculinity. It may be that the male energy is even more strongly expressed! It holds the artistic power in the mainstream and gives the music the right direction". (The newspaper "Tbilisi")**

Tamar Licheli is a prize-winner and laureate of many republic and international competitions. She is a jury member of the international competitions as well. Her concerts are held in Italy, France, USA, Taiwan, Switzerland, Germany and Republic of South Africa.

Tamar Licheli graduated from Tbilisi V.Sarajishvili State Conservatoire under Prof. Tengiz Amirejibi, passed probation at Santa Cecilia National Academy with Professor Sergio Perticaroli (Rome, Italy) and in Academy for Music and Theatre of Munchen with prof. Gerhard Oppitz (Germany).

Tamar Licheli performs as a soloist and also as a member of a chamber ensemble. She carries out concerts together with famous musicians such as Liana Isakadze, Marina Iashvili, Ken Aiso, Akikazu Nakamura, Yuri Jislin, Alexander Rudin; various chamber ensembles, including the Georgian State Quartet; collaborates with conductors - J.Kakhidze, V.Kakhidze, D.Muqeria, R.Takidze, V.Machavariani, D. Del Pino Klinge, Tan Lihua, Gianluca Marciano. She annually participates in various international festivals. It is necessary to emphasize that Tamar Licheli is the first performer of many Georgian compositions.

Nowadays Tamar Licheli is an associate professor at the Tbilisi State Conservatoire. She is the founder and artistic director of Tengiz Amirejibi International Music Festival.



საფორტეპიანო ტრიო "სემპრე"
PIANO TRIO "SEMPRE"

**"ისინი უმაღლესი კლასის მუსიკოსები არიან, რომლებმაც თავიანთი ამოუწურავი შესაძლებლობების ბრწყინვალე დემონსტრირება მოახდინეს. მსმენელებს უძნელდებოდათ ტრიოსთან განშორება და კიდევ მუზიცირებას თხოვდნენ." (ონლაინ გამოცემა "ბრიტანეთი")**

საფორტეპიანო ტრიო "სემპრე" ჩამოყალიბდა 2013 წელს. ტრიოს შემადგენლობაში არიან: თამარ ლიჩელი (ფორტეპიანო), ლელა მჭედლიძე (ვიოლინო) და ჰაიკ ბაბაიანი (ჩელო).

ტრიომ კულტურის სამინისტროს რეგიონალური განვითარების პროგრამის ფარგლებში გამართა კონცერტები და მასტერკლასები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში; მონაწილეობდა საერთაშორისო ფესტივალში "შემოდგომის თბილისი", ნ.გაბუნიას სახელობის საერთაშორისო ფესტივალში, ფესტივალში "აღდგომიდან ამაღლებამდე" და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტრიოს გამოსვლები საქართველოს კულტურის დღეებზე ქალაქ ვილნიუსის ფილარმონიის კამერულ დარბაზში და ლონდონის ნოთინგ ჰილის წმ. იოანეს ტაძარში.

თამარ ლიჩელი (ფორტეპიანო) – მრავალი ეროვნული თუ საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული და ჟიურის წევრი. სხვადასხვა წლებში ის იყო საქართველოს პრეზიდენტის, თბილისის მერიის, იტალიის და გერმანიის მთავრობის სტიპენდიანტი.

ლელა მჭედლიძე (ვიოლინო) - თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრის მთავარი კონცერტმეისტერი და დირიჟორის ასისტენტი; საქართველოს წარმომადგენელი WOP-ში ("მსოფლიო ორკესტრი მშვიდობისათვის", დირიჟორი ვ.გერგიევი); კამერული ორკესტრის "თბილისის კონცერტინო" წამყვანი კონცერტმეისტერი (1994-1999); საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის წამყვანი კონცერტმეისტერი (სამხატვრო ხელმძღვანელი ვ.მაჭავარიანი, 1998-2004); საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის წამყვანი კონცერტმეისტერი (სამხატვრო ხელმძღვანელი ლ.ისაკაძე, 1999-2004); ს.ცინცაძის ანსამბლების კონკურსის ლაურეატი.

ჰაიკ ბაბაიანი (ჩელო) – 2011 წლიდან ჩელოების ჯგუფის კონცერტმეისტერი საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრში "საქართველოს სინფონიეტა"; ჩელოების ჯგუფის კონცერტმეისტერი ერევნის სახელმწიფო ოპერის ორკესტრში (2007-2011); რიჩმონდის ორკესტრის (ინდიანა) ჩელოების ჯგუფის კონცერტმეისტერი და თანამედროვე მუსიკის ანსამბლის "Next" წევრი. იგი უკრავს ბაროკოს ჩელოზე.

ამჟამად საფორტეპიანო ტრიო "სემპრე" მუშაობს ახალ პროექტებზე, ამზადებს პროგრამებს კონცერტებისა და ფესტივალებისათვის.

**"They are high class musicians, who demonstrated brilliantly their boundless abilities. It was difficult for the audience to part with trio and asked to play more and more." ("Britain" Online Edition)**

Piano trio "Sempre" was founded in 2013. Members of trio are Tamar Licheli (piano), Lela Mchedlidze (violin) and Hayk Babayan (cello).

Trio had concerts and master classes mostly in all regions of Georgia in the bounds of the regional development programe held by Ministry of Culture. Piano trio "Sempre" participated in the International Festival "Autumn Tbilisi", N. Gabunia International Festival, International Festival "From Easter to Ascention", etc. The most important was trio "Sempre"s appearance in Chamber Hall of Vilnius Philharmonic where they performed at the opening evening of Georgian cultural days and at the concert held in London St. John's Notting Hill Church.

Tamar Licheli (piano) – prize winner and jury member of national and international competitions. Tamar Licheli collaborates with famous musicians, conductors. In different years she was Georgian President's, Tbilisi Municipality's, Italian and German government's scholarship holder.

Lela Mtchedlidze (violin) - principal violin and conductor's assistant at Tbilisi State Opera and Ballet Theatre Orchestra; representative of Georgia in orchestra WOP - "World Orchestra for Peace" (conductor V. Gergiev); principal concertmaster of chamber orchestra "Concertino Tbilisi" (1994-1999); principal concertmaster of Georgian State Symphony Orchestra (Articstic director V.Machavariani, 1998 – 2004); member of Georgian State Chamber Orchestra (Artistsic director Liana Isakadze, 1999 – 2004); laureat of S. Tsintsadze Ensembles' Competition.

Hayk Babayan (cello) – from 2011 principal cello in Georgian State Chamber Orchestra "Georgian Sinfonietta"; principal cello in Erevan State Opera Orchestra (2007 – 2011); principal cello in Richmond Orchestra (Indiana) and member of contemporary music ensemble "Next" (2003 – 2005). He plays baroque cello.

Nowadays Piano Trio "Sempre" is working on new projects, preparing programs for concerts and international festivals.




**„მის შესრულებაში გატყვევებს მშვენიერი, სისხლსავსე პიანიზმის ჰარმონია და ბუნებრივი მუსიკალურობა".**
**(დ. ბაშკიროვი, ჟურნალი "Музыкальная Жизнь")**

გამოჩენილი ქართველი პიანისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის პრორექტორი და პროფესორი, „საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდის" დირექტორი მანანა დოიჯაშვილი აქტიურ საშემსრულებლო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა.

მ. დოიჯაშვილმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია პროფ. თ. ამირეჯიბის ხელმძღვანელობით. ჯ. ენესკუს (ბუქარესტი,1970), ბ. სმეტანას (ჩეხოსლოვაკია,1974) და სიდნეის პირველ (1977) საერთაშორისო კონკურსებზე გამარჯვებებმა მას დიდი აღიარება მოუტანა. მის საშემსრულებლო ხელოვნებას კარგად იცნობენ რუსეთის, ბულგარეთის, ფინეთის, ამერიკის, ესპანეთის, ავსტრიის, გერმანიის, არგენტინის, კორეის, ავსტრალიის და სხვა ქვეყნების მუსიკოსები და კლასიკური მუსიკის მოყვარულები.

მისი თაოსნობით ხანგრძლივი უმოქმედობის შემდეგ აღდგა და თბილისის მუსიკალურ ცხოვრებას დაუბრუნდა კონსერვატორიის დიდი დარბაზი; მანანა დოიჯაშვილი გახდა საქართველოში "საკონკურსო მოძრაობის" სულისჩამდგმელი: მან საფუძველი ჩაუყარა „საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა" (1995) და „პიანისტთა თბილისის საერთაშორისო" (1997) კონკურსებს. მისივე ინიციატივით საქართველოში დაარსდა ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალი„საახალწლო მუსიკალური შეხვედრები" (1997წ).

მ. დოიჯაშვილი გახლავთ ღირსების ორდენის კავალერი, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიისა და რუსეთის საშემსრულებლო ხელოვნების ფონდის პრემიის ლაურეატი, საფრანგეთის რესპუბლიკის „ლიტერატურისა და ხელოვნების ორდენის რაინდის" და „მშვიდობის ელჩის" საპატიო წოდებების მფლობელი.

**"Her performance captivates and enchants the audience by beautiful, saturated piano harmony and natural musicality". (Dmitri Bashkirov, The Journal "Muzikalnaia Zhizn")**

Famous Georgian pianist, People's Artist of Georgia, Prorector and Professor at the V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire, prize-winner at the international competitions, Director of the "Georgian Music Competitions Fund" Manana Doijashvili carries out intense performing, teaching and social activities.

She graduated from the Tbilisi State Conservatoire under Professor T. Amirejibi. Her successful participation in such international competitions as the G. Enescu International Competition in Bucharest (1970), the B. Smetana Competition (1974) and the First International Piano Competition in Sydney, Australia (1977) as well as the appearances at the major music festivals brought her worldwide recognition. She is known to many musicians and classical music lovers in Russia, Bulgaria, Iceland, the USA, Finland, Spain, Germany, Austria, Argentina, Korea, Australia and elsewhere in the world.

Under her initiative and leadership the Grand Hall of the Conservatoire has been restored and brought back to musical life. M. Doijashvili herself has become the organizer and inspirer of the "competition movement" in Georgia. She has founded two music competitions in Georgia, viz: the Republican Competition of Musician- Performers (1995) and the Tbilisi International Piano Competition (1997). Under her initiative in 1997 in Georgia was also established the annual international music festival "New Year Music Celebrations".

M. Doijashvili is the holder of "Order of Merit", winner of Z. Paliashvili Prize and the Prize of Russian Performing Art Fund, Cavalier of "Officier dans l'ordre des Arts et des Lettres" conferred by Republic of France.

**"ირმა გიგანი მხოლოდ 17 წლისაა და უკვე აღიარებულია მთელ მსოფლიოში. იგი ნათელი მაგალითია იმისა თუ რისი მიღწევა შეუძლია ნიჭიერებას და დაუღალავ შრომას."**
**(ევა ბოლქვაძე / Georgian News 2014)**




ირმა გიგანი დაიბადა 1996 წელს ქ. თბილისში. 5 წლის ასაკში ჩააბარა ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის №1 ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში პედაგოგ ლ. ფირალიშვილის კლასში. 2002 წელს იტალიის ქ. მინერბიოში მუსიკოს-შემსრულებელთა ბოლონიის II საერთაშორისო კონკურსზე ირმა გახდა ლაურეატი და გრან-პრის მფლობელი (პრემია აბსოლუტი). 2003 წელს მუსიკოს-შემსრულებელთა III რესპუბლიკურ კონკურსზე დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ.

2003 წლიდან გახლავთ ვ. სპივაკოვის ფონდის მიერ ჩატარებული ფესტივალების მონაწილე და ამავე ფონდის სტიპენდიანტი. ირმა გიგანი იუნესკოს საერთაშორისო ფონდის სტიპენდიანტია, მონაწილეობას იღებს მთელ რიგ ფესტივალებში, რის გამოც დაჯილდოვებულია განათლების სამინისტროს საპატიო დიპლომით.

2005 წლიდან ირმა სწავლას აგრძელებს პედაგოგ მაია ნარიმანიძის კლასში. 2006-2008 წლებში ირმა მართავს კონცერტებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ (მაგ. ვ. სპივაკოვის ფონდის მიწვევით ქ. ანკარას დიდ საკონცერტო დარბაზში ანკარას სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, იუნესკოს მიწვევით საფრანგეთში ქ. ნიცის საოპერო თეატრში და მრავალი სხვა).

2009 წლიდან ირმა სწავლას აგრძელებს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის მუსიკალურ სემინარიაში პროფესორ თენგიზ ამირეჯიბის ხელმძღვანელობით.

2010 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და საქართველოში პოლონეთის საელჩოს ინიციატივით ჩატარებულ „შოპენის სახელობის კონკურსზე" ირმა გიგანმა აიღო პირველი პრემია და სპეციალური პრიზი ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისთვის.

ირმა გიგანი აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა. იგი მანანა დოიჯაშვილთან აგრძელებს სწავლას.

**"Irma Gigani is only 17 years old and is already known throughout the world. She is a clear example of what hard work in addition to talent can achieve."**
**(Eva Bolkvadze/Georgian News 2014)**

Irma Gigani was born in 1996 in Tbilisi. She was 5 years old when she entered Tbilisi Z. Paliashvili N1 Central Music School and studied under L. Piralishvili.In 2002 she became laureate and the winner of Grand Prize at Minerbio II International Competition, Italy. In 2003 at the 3rd Republican Competition of Musician – Performers was awarded a special prize by the Embassy of USA in Georgia.

Since 2003 she is the participant of the festivals held by V. Spivakov Fund. She is a scholar of V. Spivakov and UNESCO International Fund. Irma Gigani participates in different intenational festivals.

In 2005 she continued her musical education under Maya Narimanidze. In 2006-2008 Irma performs as in Georgia as abroad. Should be mentioned her concert held with Ankara Symphony Orchestra in Ankara (Turkye), organized by V. Spivakov Fund and her recital at Nice Opera Theatre (France), organized by UNECSO.

Since 2009 I. Gigani has been studing at Tbilisi V. Sarajishvili Musical Seminary under Professor Tengiz Amirejibi.

In 2010 by the initiative of Tbilisi State Conservatoire and Poland Embassy in Georgia was held F. Chopin Competition where I. Gigani won First Prize and Special award for the best performance of the Georgian composer's masterpiece.

Irma Gigani leads an active concert life. She continues her study under Manana Doijashvili.




**"წამყვანი არტისტი" (Miami Herald), „საოცრად თვითმყოფადი" (Daily Telegraph) პიანისტი ალექსანდრე კორსანტია აღიარებულია "ტექნიკის სიწმინდით, მდიდარი ბგერითი პალიტრით და დინამიური ფრაზირებით" (Baltimore Sun), "საფორტეპიანო ტექნიკით, სადაც სირთულეები უბრალოდ არ არსებობს "(Calgary Sun).**

ალექსანდრე კორსანტიას კარიერის ტრიუმფალური სვლა არტურ რუბინშტეინის სახელობის და სიდნეის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსებზე ბრწყინვალე გამარჯვებების შემდეგ დაიწყო, სადაც მან პირველი პრემიები და ოქროს მედალი მოიპოვა.

მისი კონცერტების მოსმენა შესაძლებელია მსოფლიოს სხვადასხვა პრესტიჟულ დარბაზში და ფესტივალზე. იგი თანამშრომლობს ისეთ ცნობილ დირიჟორებთან როგორიცაა: ვალერი გერგიევი, ქრისტოფ ეშენბახი, პაავო იარვი, რაფაელ ფრიუბეკ დე ბურგოსი, იური ბაშმეტი და სხვა. ა. კორსანტია უკრავს ჩიკაგოს, ისრაელის ფილარმონიულ და კიროვის ორკესტრებთან, ცინცინატის სიმფონიურ, ტულუზის ეროვნულ და RAI ორკესტრთან, იერუსალიმის სიმფონიურ და ოსლოს ფილარმონიულ ორკესტრებთან, ვანკუვერის, ორეგონის, ლუისვილის ორკესტრებთან, პოლონეთის რადიოს ორკესტრთან, ასევე საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან.

ალექსანდრე კორსანტიას მასწავლებლებს შორის იყვნენ დედა - სვეტლანა კორსანტია და ცნობილი პიანისტი, ბრწყინვალე მუსიკოსი და პედაგოგი, პროფესორი თენგიზ ამირეჯიბი.

1992 წელს ა. კორსანტია გადავიდა ამერიკაში, სადაც მუშაობდა ინდიანას უნივერსიტეტის ცნობილ საფორტეპიანო სტუდიაში ალექსანდრე თორაძესთან. 1999 წელს სამშობლოში აქტიური საკონცერტო მოღვაწეობისათვის ის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. ამჟამად ა. კორსანტია ცხოვრობს ბოსტონში და არის„New England Conservatoire"-ს ფორტეპიანოს პროფესორი.

**Dubbed "a major artist" by the Miami Herald and a "quiet maverick" by the Daily Telegraph, pianist Alexander Korsantia has been praised for the "clarity of his technique, richly varied tone and dynamic phrasing" (Baltimore Sun), and a "piano technique where difficulties simply do not exist" (Calgary Sun).**

Alexander Korsantia's increasingly growing international career started since winning the First Prize and Gold Medal at the Artur Rubinstein Piano Master Competition and the First Prize at the Sidney International Piano Competition.

He helds concerts at the world's major concert halls and festivals. A. Korsantia collaborates with renowned conductors, such as Valery Gergiev, Christoph Eschenbach, Paavo Jarvi, Rafael Fruhbeck de Burgos, Yuri Bashmet and orchestras as the Chicago Symphony, Kirov Orchestra, Israel Philarmonic, Cincinnati Symphony, Toulouse National Orchestra, RAI Orchestra, Jerusalem Symphony and Oslo Philharmonic, Vancouver, Oregon, Louisville Symphony Orchestras, Polish Radio Orchestra, Georgian State Symphony Orchestra.

Among Alexander Korsantia's mentors are his mother, Svetlana Korsantia and Georgia's foremost pianist, professor Tengiz Amirejibi.

In 1992, he moved his family to the United States and joined the famed piano studio of Alexander Toradze at Indiana University. In 1999 he was awarded the Order of Honor for his active concert life in his native country. A.Korsantia resides in Boston where he is a Professor of Piano on the faculty of the New England Conservatoire.




**"ლირიზმი, მრავალპლანიან მუსიკალურ შინაარსში წვდომის უნარი, თითოეული ბგერის მხატვრული ფასეულობის შეგრძნება და მისი შინაარსობრივი დატვირთვა - ეს ცოტნეს დამახასიათებელი ხელწერაა." (მზია ჯაფარიძე / ჟურნალი "მუსიკა" 2009 წ. )**

ცოტნე ცოცხალაშვილმა მუსიკის შესწავლა 1998 წლიდან თბილისის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში პედაგოგ ვეკა სვანიძესთან დაიწყო.

2002 წლიდან იგი მრავალი პრესტიჟული ჯილდოს და პრიზის მფლობელი ხდება. მან მიიპოვა სტიპენდია რუსული საშემსრულებლო ხელოვნების ფონდიდან; კულტურის სამინისტრომ მიანიჭა პირველი ადგილი "კლასიკური მუსიკის საუკეთესო შესრულებისათვის", ხოლო ბოსტონში პიბოდი მეისონის საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსზე პირველი ადგილი აიღო.

ცოტნე ცოცხალაშვილი მრავალი საერთაშორისო ფესტივალისა და კონკურსის მონაწილეა. მათ შორის აღსანიშნავია ვლადიმერ სპივაკოვის "მოსკოვი ხვდება მეგობრებს". ჰანს-იურგ შტრუბთან მასტერკლასების შემდეგ ცოტნემ გამართა კონცერტები გერმანიაში, სასომხეთში, ლიტვაში, "შემოდგომის თბილისის" ფესტივალის გახსნაზე. ცოტნე ცოცხალაშვილს დაკრული აქვს თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიულ ორკესტრთან, New England Conservatoire ფილარმონიულ ორკესტრთან.

2013 წ. პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსზე II პრემია მოიპოვა. ამჟამად ცოტნე ცოცხალაშვილი სწავლობს NEC–ში ალექსანდრე კორსანტიას ხელმძღვანელობით.

**"Tsotne's handwriting is easily seen in his lyricism, in penetration into the wide range musical substance, in understanding the artistic value of the sound and its essential performance."**
**(Mzia Japaridze / Magazine "Music" 2009)**

Tsotne Tsotskhalashvili began to study music in 1998 at the Tbilisi Central Music School under Veka Svanidze.

Since 2002 he has been the recipient of numerous prestigious awards and prizes. These include a scholarship from the Russian Art of Performance Foundation, first prize from the Ministry of Culture for "the Best Performance of the Classical Music", and first prize from the Peabody Mason International Piano Competition in Boston.

Mr. Tsotskhalashvili has participated in many international festivals, master classes and competitions including "Moscow Meets Friends" under the direction of Vladimir Spivakov, master classes with Prof. Hans-Jürg Strub followed by a concert in Germany, Armenia, Lithuania and the opening concert of the Festival "Autumn Tbilisi". He performed with Tbilisi Symphony Orchestra, Georgia State Philharmonic Orchestra, New England Conservatoire Philharmonic Orchestra.

Tsotne received II prize at Tbilisi International Piano Competition (2013). Tsotne Tsotskhalashvili studies at NEC under Professor Alexander Korsantia.




"აისომ დაატყვევა მსმენელები სტილების უზადო შეგრძნებით და განსაკუთრებულად ლამაზი ბგერით".
("ონგაკუ გენდაი", ტოკიო)

კენ აისო საყოველთაოდაა აღიარებული როგორც ერთ-ერთი ყველაზე მუსიკალური და მრავალმხრივი მევიოლინე. მას აფასებენ არა მარტო განსაკუთრებული ლამაზი ბგერის გამო, არამედ იმ უნიკალური სიახლოვის ატმოსფეროს შექმნისათვის რომელსაც ის დამსწრე საზოგადოებას შორის კონცერტების დროს აყალიბებს.

კენ აისო ძალზედ ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა როგორც სოლისტი, კამერული შემსრულებელი და პედაგოგი. მან გამართა უამრავი კონცერტი ინგლისში, ევროპაში, ამერიკასა და იაპონიაში ისეთ ცნობილ საკონცერტო დარბაზებში როგორიცაა უიგმორის და დედოფალ ელისაბედის დარბაზი ლონდონში, კონცერტგებაუს ამსტერდამში და სანტორის ტოკიოში. კ.აისოს იწვევენ მრავალ საერთაშორისო ფესტივალზე, კერძოდ ალდებურგის, ჩელტენჰემის, სელისბერის, მენუხინის, სანგატის და სხვა. კენ აისო ლონგ-ტიბოს კონკურსის (პარიზი) და იაპონიის საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის (ტოკიო) გამარჯვებულია. მისი კონცერტები პირდაპირი ეთერით ტელევიზიის მეშვეობით გადაიცემა.

მუსიკალური განათლება აისომ ტოკიოში, დალასსა და ლონდონში მიიღო, სადაც სავიოლინო ხელოვნებას ჩიკაში ტანაკასთან, ედუარდ შმეიდერთან და ერიჰ გრუენბერგთან ეუფლებოდა. მან გაიარა მასტერკლასები რუჯერო რიჩისთან, იდა ჰაენდელთან, ივრი გიტლისთან, აბრამ შტერნთან და ფერენც რადოსთან. 2003 წ. კენ აისო წარსდგა იაპონიის იმპერატორის და მისი მეუღლის წინაშე როგორც სოლისტი. 2004 წ. მან ჩამოაყალიბა საყოველთაოდ აღიარებული "აისო კვარტეტი". კენ აისო ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას მუსიკის სამეფო აკადემიაში და ატარებს მასტერკლასებს სანტა ბარბარას მონტესიტოს ზაფხულის მუსიკის ფესტივალზე. კენის განსაკუთრებული დამოკიდებულება მუსიკალური განათლებისა და ახალგაზრდებისადმი ხდის მის გამოჩენას სკოლებში ესოდენ მოთხოვნადს. კენ აისო დაიბადა და აღიზარდა იაპონიაში. ამჟამად ის ცხოვრობს ინგლისში.

**"Aiso mesmerized audience with his assured sense of styles and exceptionally beautiful sound".**
**(The Ongaku Gendai, Tokyo)**

Ken Aiso is internationally recognized as one of today's most musical and versatile violinists. Mr. Aiso is praised not only for his singularly beautiful tone, but also for the unique atmosphere of intimacy he evokes as he draws in his audience.

Japanese violinist Ken Aiso has a varied career as soloist, chamber musician and teacher. As a recitalist and chamber musician he has performed widely in the UK, Europe, USA and Japan, in such concert halls as Wigmore, Queen Elizabeth in London, Concertgebouw Amsterdam and Suntory in Tokyo. He has appeared as soloist and chamber musician in music festivals such as Aldeburgh, Cheltenham, IMS Prussia Cove, Salisbury, Menuhin and Sangat. A prizewinner of the Long Thibaud Concours in Paris and International Music Competition of Japan in Tokyo, Mr. Aiso has appeared as a soloist in televised and broadcast concerts.

He received his musical education in Tokyo, Dallas and London studying with Chikashi Tanaka, Eduard Schmieder and Erich Gruenberg as well as receiving tuition in master classes from Ruggiero Ricci, Ida Haendel, Ivry Gitlis, Abram Shtern and Ferenc Rados. In 2003 he was honored to appear as soloist before the Emperor and Empress of Japan. In 2004 he founded the acclaimed AISO Quartet. His teaching activities include performance classes at the Royal Academy of Music and master class at the Montecito Summer Music Festival in Santa Barbara. Ken's commitment to music education combined with his special rapport with young people makes him much in demand for music workshops in schools. Born and raised in Japan, Mr. Aiso resides in U.K.

"ღრმა მუსიკალურობა, გასაოცარი მომხიბვლელობა და სტილის შეგრძნება გლორია კამპანერს განსაკუთრებული თვისებების მქონე პიანისტებს შორის აყენებს".
(უოლტერ არლენი / ლოს ანჯელეს ტაიმსი)




გლორია კამპანერი დაიბადა 1986 წ. ვენეციაში. კრიტიკოსების და საზოგადოების მიერ იგი ახალი თაობის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პიანისტადაა აღიარებული. ფორტეპიანოზე დაკვრა მან 4 წლის ასაკში დაიწყო, 5 წლისამ კი პირველი სოლო კონცერტი გამართა, 12 წლის ასაკში ვენეციის სიმფონიურ ორკესტრთან დაუკრა. ბავშვობაშივე გახდა ოცზე მეტი ეროვნული და საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსების პირველი ადგილის მფლობელი. მისმა სწრაფად მზარდმა კარიერამ ხუთივე კონტინენტის უდიდეს მუსიკალურ ფესტივალებზე გაუკვალა გზა.

პადერევსკის საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსზე (2010წ. ლოს ანჯელესი) გ. კამპანერმა მოიპოვა ვერცხლის მედალი და სპეციალური პრიზები პადერევსკის და შოპენის ნაწარმოებების საუკეთესო შესრულებისათვის. Ibla Grand Prize (2009წ) კონკურსზე იგი გახდა I ადგილის და პროკოფიევის სპეციალური ჯილდოს მფლობელი, რასაც მოჰყვა მისი ამერიკული ტურნე და დებიუტი კარნეგი ჰალში (2010წ). გ. კამპანერი აგრეთვე მრავალი სხვა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია. კამპანერი ატარებს მასტერკლასებს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მუშაობს ისეთ განთქმულ მუსიკოსებთან, როგორებიცაა ჯ. სვანი, ჯერომ როსი, ს. პერტიკოროლი, ა. ჯასინსკი, პ. გილილოვი, ლ. ზილბერსტეინი, დ. ბაშკიროვი და ბ. პეტრუშანსკი. მისი კონცერტები ხშირად გადაიცემა საერთაშორისო ტელე და რადიო სადგურების მიერ (RAI, Radio Ljubljana, SKY Classica, RTSI, CNN). გ. კამპანერი აქტიურად მონაწილეობს კამერული მუსიკის პროექტებში. როგორც Steinway & Sons არტისტმა გლორია კამპანერმა გამართა კონცერტები სტენვეის მსოფლიოს მრავალ საკონცერტო დარბაზში, მათ შორის ნიუ იორკში, ლონდონსა და ჰამბურგში.

**"Extremely deep musicality, remarkable fluidity, nuancing and sense of style put her in the ranks of pianists with exceptional qualities".**
**(Walter Arlen / Los Angeles Times)**

Born in Venice, in 1986, Gloria Campaner is considered by the critics and public alike, as one of the most interesting pianists of the new generation. She began her piano studies at the age of four, gave her first public recital at five, and debuted as a soloist at age 12 with the Venetian Symphony Orchestra. Since the first year of her studies, Ms. Campaner has been the recipient of the 1st Prize in more than twenty national and international piano competitions for young musicians. Her rapidly advancing career as a soloist, with Orchestra, and as a chamber musician, has led her to be a guest of some of the biggest musical festivals over the five continents. Ms. Campaner is the Silver Medalist of the "Paderewski International Piano Competition" (Los Angeles 2010), in which she also received the "Paderewski" and "Chopin" best performance special awards. She is also the 1st Prize Winner and "Prokofiev Special Award" recipient of the "2009 Ibla Grand Prize", after which she made her first US tour and her Carnegie Hall debut in 2010. Ms. Campaner is a laureate of many other international competitions.

Ms. Campaner was selected to participate in many musical masterclasses throughout Europe, working with such distinguished musicians as J. Swann, Jerome Rose, S. Perticaroli, A. Jasinski, P. Gililov, L. Zilberstein, D. Bashkirov, and B. Petrushansky. Selections of her concerts have often been broadcast by international television and radio stations, such as RAI, Radio Ljubljana, SKY Classica, RTSI and CNN. Ms. Campaner is also very active in chamber music projects. As official Steinway & Sons Artist Gloria had already performed in most of the Steinway Halls of the world (included New York, London and Hamburg).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**"ასეთი დახვეწილი არტისტულობის ძალა და სილამაზე ღვთაებრივი გამოცდილების შედეგია, რომელიც უკეთეს შთაბეჭდილებას გიქმნის გარესამყაროზე". (ჯეკ უებსტერი/ გაზეთი "ჰერალდი")**

მარინა ნადირაძემ მუსიკალური განათლება საქართველოში, ვეკა სვანიძესთან და თენგიზ ამირეჯიბთან მიიღო. სწორედ ამ პერიოდში მან თავისი პირველი გამარჯვება ვილნიუსის საერთაშორისო კონკურსზე (ლიტვა) მოიპოვა, ხოლო 1997 წელს მეორე პრემია პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსზე. გასაოცარი ნიჭის და შრომისმოყვარეობის წყალობით მ. ნადირაძემ მოიპოვა სტიპენდია, რომელმაც მას საშუალება მისცა ესწავლა ფილიპ ჯენკინსთან შოტლანდიის მუსიკის და დრამის სამეფო აკადემიაში. 2000 წელს მან მოიპოვა პირველი ადგილი LASMO Staffa – ს კონკურსზე, ხოლო ერთი წლის შემდეგ მეორე ადგილი, ლოურენს გლოვერის ვერცხლის მედალი და პრიზი ჯონ მაკკეიბის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის შოტლანდიის საერთაშორისო კონკურსზე.

თავისი კარიერის დასაწყისში მარინა ნადირაძე დაჯილდოვდა "Myra Hess Trust" –ის და "Craxton Memorial Trust" – ის სტიპენდიებით. მას შემდეგ მან განაგრძო საკონცერტო მოღვაწეობა საფრანგეთში, ავსტრიაში, კორეაში, ისლანდიაში, რუსეთში, არგენტინაში და შვეიცარიაში. ის თანამშრომლობს ისეთ გამოჩენილ დირიჟორებთან როგორებიცაა მინ კიმი, ალექსანდერ ლაზარევი, ტაკუო იასა, ვახტანგ კახიძე, ჰილარი დავან ვეტონი, ტადაკი ოტაკა და დევიდ დელ პინო კლინგე.

საერთაშორისო კარიერის აღმავლობის გზაზე მარინა ნადირაძე, როგორც გამორჩეული ხელოვანი, იპყრობს მუსიკის მოყვარულთა ყურადღებას მთელ მსოფლიოში. შემთხვევითი არაა, რომ 2007 წელს "Independent"- ში კრიტიკოსმა მაიკლ ჩერჩმა მარინას დაკვრა დიდ მიცუკო უჩიდას შეადარა.




**"The power and beauty of such exquisite artistry was the kind of heavenly experience to make you feel better about the world around you". (Jack Webster / The Herald)**

Marina Nadiradze's eary studies took place in Georgia where her principal teachers were Veka Svanidze and Tengiz Amirejibi and it was during this period that she enjoyed her first international competition success in Vilnius, Lithuania. This was followed by 2nd Prize in the inaugural Tbilisi International Piano Competition in 1997. Her exceptional talent and formidable promise led to the offer of scholarship enabling her to study with Philip Jenkins at the Royal Scottish Academy of Music and Drama. In 2000 she won 1st Prize in the prestigious LASMO Staffa Competition, and followed this one year later with her successes at the Scottish International competition where she won 2nd Prize, the Laurence Glover Silver Medal, and the prize for the best performance of the specially composed work by John McCabe.

At the start of her career Marina was helped by awards from the Myra Hess Trust and the Craxton Memorial Trust, and has since gone on to give concerts in many countries including France, Austria, Korea, Iceland, Russia, Argentina and Switzerland. Distinguished conductors she has worked with include Min Kim, Alexander Lazarev, Takuo Yuasa, Vakhtang Kakhidze, Hilary Davan Wetton, Tadaki Otaka and David del Pino Klinge.

Now enjoying a growing international career Marina increasingly attracts the attention of discerning concert goers around the world who have come to recognize the qualities which make her such a special artist. No wonder then that in an article for the "Independent" in 2007 writer Michael Church compared her playing to that of the great Mitsuko Uchida.




**"ლიზი რამიშვილი საოცრად ნიჭიერი მუსიკოსია. მას განსაკუთრებული შესრულების მანერა აქვს, რომელიც ყოველთვის იწვევს დამსწრე საზოგადოების დიდ ოვაციებსა და გაოცებას." (იური ბაშმეტი)**

ლიზი რამიშვილი დაიბადა 1997 წლის 6 მაისს ქ. თბილისში. ჩელოზე დაკვრა 7 წლის ასაკში თბილისის ზ. ფალიშვილის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ გიმნაზიაში პროფესორ თამარ გაბარაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო. მას ჩატარებული აქვს სოლო კონცერტები როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ (ბელგია, რუსეთი, გერმანია, აშშ). ლიზის დაკრული აქვს ევგენი მიქელაძის სახელმწიფო სიმფონიურ, თბილისის სიმფონიურ, სომხეთის სახელმწიფო კამერულ ორკესტრთან, სიმფონიურ ორკესტრთან „Новая Россия" (ხელმძღვანელი იური ბაშმეტი), ჩაიკოვსკის სახელობის სიმფონიურ, ესპანეთის „რეალ ფილარმონიკის" და ზ.ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრთან.

**"Lizi Ramishvili is a very talented musician. Her performing style is exceptional, always causes public ovations and surprises everybody. " (Yuri Bashmet)**

Lizi Ramishvili was born on 6th of May 1997, Tbilisi. She was 7 years old when she began playing cello at Z. Paliashvili Tbilisi Central Music Gymnasium under Prof. Tamara Gabarashvili. She had a lot of recitals as in Georgia as abroad (Belgium, Russia, Germany, the USA). Lizi played concerts with E. Mikeladze State Symphony Orchestra, Armenia State Chamber Orchestra, Symphony Orchestra "Новая Россия" (director Yuri Bashmet), Real Philharmonic Orchestra (Spain) and Z.Paliashvili Tbilisi State Opera and Ballet Theatre Orchestra.

L.Ramishvili participated in numerous international festivals: Kronberg Academy Festival(Germany), "Vivace" Festival (Switzerland), "Traveling Notes" Festival (the USA-Georgia), Festival "Energy for Life" (Austria, Switzerland), Festival "Musica Mundi" (Belgium), etc.

In 2007 at the Republican Competition of Musician – Performers she was recognized as the best performer among those who were out of age. L.Ramishvili is a winner of different international competitions. In 2010 she became Grand Prize winner at Gyumri International Competition (Armenia), 1st Prize winner and owner of "Golden Nutcracker" at the International Television Contest "Nutcracker" (Russia), laureate of the orchestra "Новая Россия", etc.

Lizi Ramishvili is Mstislav Rostropovich Fund scholarship holder (2010-2014).




თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი - საქართველოს სინფონიეტა დაარსდა 2008 წელს საქართველოს პირველი ლედის სანდრა ელისაბედ რულოვსის და საქართველოს კულტურის სამინისტროს პატრონაჟის ქვეშ. ორკესტრის შექმნაში დიდი როლი ითამაშა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ და მისმა რექტორმა გია ბუღაძემ. ორკესტრი რეგულარულად მართავს კონცერტებს თბილისის საუკეთესო დარბაზებში და ასევე საქარველოს და ევროპის სხვადასხვა ქალაქებში. უკვე მეოთხე წელია ორკესტრი თანამშრომლობს ფესტივალ "Young Euro Classic"-თან, რომელიც ყოველწლიურად იმართება ბერლინის "კონცერტჰაუსში". 2010 წლის 11 აგვისტოს ორკესტრმა მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ ფესტივალში, სადაც 17 ქვეყნის სხვადასხვა ორკესტრებს შორის პირველი პრემია მიენიჭა ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორის, არჩილ გიორგობიანის ნაწარმოების – "აზარი"-ს შესრულებისთვის. ამ ფესტივალის გარდა, საქართველოს სინფონიეტა მონაწილეობს სხვადასხვა ფესტივალებში (თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი, თბილისის კამერული მუსიკის ფესტივალი, საახალწლო მუსიკალური შეხვედრები, თელავის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი, აღდგომიდან ამაღლებამდე, გუთ იმლინგის საოპერო ფესტივალი). "საქართველოს სინფონიეტა", თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალთან ერთად არის ფესტივალ "ჭიათურის მუსიკის აკადემიის" დამაარსებელი.

2011 წლის 1 მაისს ორკესტრის კონცერტი ჩაწერა ევროპაში ცნობილმა ფრანგულმა მუსიკალურმა ტელეარხმა„MEZZO"-მ, რაც უპრეცენდენტო მოვლენაა კავკასიის მასშტაბით.

ორკესტრთან თანამშრომლობდნენ: მარინა იაშვილი, ლიანა ისაკაძე, ლიზა ბათიაშვილი, ვალენტინ ჟუკი, პაველ ვერნიკოვი, იულიან რახლინი, ნატალია გუტმანი, ელისო ვირსალაძე, ალექსანდრე კორსანტია, ელისო ბოლქვაძე, მორის ბურგი, ფრანსუა ლელუ, ედუარდ ბრუნერი, სერჯიო აზოლინი, დირიჟორები - ლევ მარკიზი, ბენჟამინ ლევი, ბენუა ფრომანჟერი, ანდრეს მუსტონენი, ვახტანგ კახიძე, გიორგი ბაბუაძე, გოგი ჭიჭინაძე.

The Tbilisi State Chamber Orchestra – Georgian Sinfonietta was established in 2008 under the patronage of Sandra Elisabeth Roelofs, the First Lady of Georgia, and Ministry of Culture of Georgia. The Tbilisi State Academy of Arts and its Rector, Gia Bugadze greatly contributed in the establishment of the orchestra. The orchestra regularly performs in Tbilisi as well as in other locations both in Georgia and abroad. During the last four years the orchestra has cooperated with the "Young Euro Classic" festival, held annually in the Berlin "Konzerthaus". On August 11, 2010 the orchestra participated in the festival and was chosen among the orchestras from 17 different countries to be awarded the First Prize for the performance of the composition "Azari" by the young Georgian composer Archil Giorgobiani. Except this festival, Georgian Sinfonietta participates in other festivals as well (Tbilisi Wind Festival, Tbilisi Chamber Festival, New Year Music Celebrations, Telavi Music International Festival, From Easter to Ascension, Gut Immling Opera Festival). Georgian Sinfonietta and Tbilisi Wind Festival established the Tchiatura Music Academy Festival.

First Time in the Caucasus, the orchestra's concert was recorded by the French music television channel "Mezzo" on May 1, 2011 – an unprecedented event throughout the whole region.

The orchestra has performed with many outstanding soloists - Marina Iashvili, Liana Isakadze, Liza Batiashvili, Valentin Zhuk, Pavel Vernikov, Julian Rachlin, Natalia Gutman, Eliso Virsaladze, Alexander Korsantia, Eliso Bolkvadze, Maurice Bourgue, Francois Leleux, Edward Brunner, Serjio Azzolini, conductors - Lev Markiz, Benjamin Levy, Benoît Fromanger, Andres Mustonen, Vakhtang Kakhidze, Giorgi Babuadze, Gogi Chichinadze.

---

თამთა მაღრაძე დაიბადა 1995 წლის 14 თებერვალს ქალაქ თბილისში.

2001-2005 წლებში სწავლობდა თბილისის დ.ანდღულაძის სახელობის მე-14 სამუსიკო სკოლაში, 2006-2013 წლებში ზ.ფალიაშვილის სახელობის №1 ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში პედაგოგ გომერა გოგიას კლასში. აღნიშნულ პერიოდში მუდმივად იღებდა პროფ. თენგიზ ამირეჯიბის მასტერკლასებს.

თამთა მაღრაძე არის ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ორგზის დიპლომანტი (ენსხედე, ნიდერლანდები 2010 წ, 2012 წ.), საერთაშორისო კონკურსის "Music Without Limits" გრან პრის მფლობელი (ლიტვა 2012 წ).

მას ჩატარებული აქვს სოლო კონცერტები, 2012 წელს დაუკრა თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. თამთა მაღრაძე თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის I კურსის სტუდენტია (პროფ. ედიშერ რუსიშვილის კლასი).




Tamta Magradze was born on 14th of February 1995, Tbilisi. In 2001-2005 she studied at D. Andguladze №14 Music School, later in 2006-2013 at Z.Paliashvili №1 Central Music School under Gomera Gogia. During these years Tamta got master classes with Prof. Tengiz Amirejibi.

Tamta Magradze received a diploma of Young Pianists International Competition (Enschede, Netherlands 2010,2012) and Grand Prix at the Inernational Competiton "Music Without Limits"(Lithuania 2012).

She performed several recitals, in 2012 played with Tbilisi Symphony Orchestra. T. Magradze studies at V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire under Prof. Edisher Rusishvili.

ეროვნული ბიბლიოთეკა




**"გარეგნული სიმშვიდის, გაწონასწორებულობის და დახვეწილობის მიღმა ჯანლუკას დირიჟორობიდან გასაოცარი ენერგია მოედინება." (Opera Now 2013)**

ჯანლუკა მარჩანო ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი ახალგაზრდა იტალიელი დირიჟორია. 36 წლის მარჩანო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორია. იგი აგრეთვე ბეირუთის ალ ბუსტანის ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია.

ჯანლუკა მარჩანო დაიბადა ლა სპეციაში. ფორტეპიანოზე დაკვრა მან ფლორენციის მუსიკალურ აკადემიაში დაიწყო, რომელიც შემდგომ ჯოაკინო აჩუკაროსა და პაოლო რესტანისთან სრულყო. თავისი პირველი სოლო კონცერტი მან 10 წლის ასაკში გამართა.

მარჩანო მუშაობდა პრესტიჟულ იტალიურ საოპერო თეატრებში, მათ შორის პარმის ოპერის თეატრში ვერდის საიუბილეო 2001 წელს. 2002 წელს ლიუბლანას ოპერის თეატრში იმუშავა გუნოს "ფაუსტზე", ხოლო 2005 წ. ოფენბახის "Die Rheinixen" მსოფლიო პრემიერაზე. 2006-2007წწ. ჯ. მარჩანო დირიჟორობს ზაგრებში ხორვატიის ნაციონალურ ოპერაში "ნაბუქოს" და "სევილიელ დალაქს". 2008-2009 წწ. იგი აირჩიეს ზაგრების ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ დირიჟორად. მის სხვა მნიშვნელოვან საოპერო პროექტებს მიეკუთვნება ინგლისში გრენჯ პარკში დადგმული და კრიტიკოსების მიერ აღიარებული "ტოსკა", "მადამ ბატერფლაი", "პურიტანები", დებიუსის და პულენკის ოპერების იტალიური პრემიერები ვერდის თეატრში, "ჯადოსნური ფლეიტა" ფლორენციის საოპერო ფესტივალზე, "ბოჰემა" და "ტოსკა" ნოვი სადში, "ტურანდოტი" ოვიედოში, "ტრავიატა" პრაღის სახელმწიფო ოპერაში, "სევილიელი დალაქი" მინსკში, "ფავორიტი ქალი", "ტრავიატა" და "ალზირა" ჩელსის ოპერაში. 2007 წ. შედგა ჯ.მარჩანოს დებიუტი ჩინეთში პეკინის დრამის, ცეკვისა და ოპერის თეატრში. პეკინშივე გაიმართა ანდრეა ბოჩელის და პეკინის სიმფონიური ორკესტრის ცნობილი კონცერტი, რომელსაც მაესტრო მარჩანო დირიჟორობდა. დღეს იგი ამ თეატრის მთავარი მიწვეული დირიჟორია.

ჯანლუკა მარჩანოს გრაფიკი საოცრად დატვირთულია და რამდენიმე წლით ადრეა გაწერილი.

**"Gianluca exudes pent-up, gut-wrenching energy that doesn't flag for a second as he conducts; but somehow he remains totally calm, in control and utterly civilized". (Opera Now 2013)**

Gianluca Marciano is one of the most exciting young Italian conductors. The 36-year-old conductor holds the title of Principal Conductor of the Tbilisi State Opera and Ballet Theatre and is also the Artistic Director of the Al Bustan Festival in Beirut.

Born in La Spezia, Marciano began studying the piano at the Music Academy of Florence and later with Joachin Achucarro and Paolo Restani. He made his recital debut when he was just ten years old.

Marciano has worked on the music staff at prestigious Italian opera houses including Teatro Regio di Parma in 2001 for the Verdi Anniversary. From 2002 he worked at the opera house in Ljubljana as an assistant on productions such as Gounod's Faust and the world stage première of Offenbach's Die Rheinixen in 2005. During the 2006/07 season he stepped in at the Croatian National Opera in Zagreb to conduct performances of Nabucco and Il barbiere di Siviglia. As a result, he was appointed Artistic Leader and was the main conductor in Zagreb during the 2008/09 season.

Other major operatic projects have included a critically acclaimed Tosca, Madam Butterfly and I Puritani at Grange Park in the UK, the Italian première of Debussy's and Poulenc's operas at the Teatro Verdi in Sassari, Die Zauberflöte at the Opera Festival in Florence, La Boheme and Tosca in Novi Sad, Turandot in Oviedo, La Traviata at the Prague State Opera, Il Barbiere di Siviglia in Minsk, La Favorite, La Traviata and Alzira for Chelsea Opera Group. In 2007 he made his debut in China, conducting the Drama, Dance and Opera Orchestra of Beijing, where he is now Principal Guest Conductor, as well as conducting a concert with Andrea Bocelli and the Beijing Symphony Orchestra.

Gianluca Marciano's schedule is very busy and is filled up few years ahead.




თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრის დამოუკიდებელი საკონცერტო ცხოვრება 1860 წლიდან დაიწყო და სიმფონიური მუსიკის კონცერტებს ცნობილი დირიჟორების შენინგის და კატანის დირიჟორობით მართავდა. ორკესტრთან ერთად სცენაზე უდიდესი შემსრულებლები გამოდიოდნენ. მათ შორის იყვნენ ჯუზეპე ვერდის მეუღლე ჯუზეპინა სტრეპონი, ყველა დროის უდიდესი ბანი ფიოდორ შალიაპინი, თბილისის კონსერვატორიის დამაარსებელი არტურ რუბინშტეინი, რუსი კომპოზიტორი და ვირტუოზი პიანისტი სერგეი რახმანინოვი, გენიალური რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი. ორკესტრი სპექტაკლებში მონაწილეობდა გასტროლებზე ჩამოსულ დასებთან ერთად: პეტერბურგის საბალეტო დასი (1852), იტალიური საბალეტო დასები (1897-1898,1910), ვენის საიმპერატორო ოპერეტა (1903), მოსკოვისა და პეტერბურგის კომიკური ოპერები (1907), პეტერბურგის საიმპერატორო ბალეტი (1907,1908,1913).

XX საუკუნეში ორკესტრს სხვადასხვა დროს დირიჟორობდნენ გამოჩენილი ქართველი მუსიკოსები – ევგენი მიქელაძე, ოდისეი დიმიტრიადი, გივი აზმაიფარაშვილი, ჯანსუღ კახიძე.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მსმენელის წინაშე წარსდგნენ მსოფლიოში აღიარებული შემსრულებლები – პლასიდო დომინგო, ფერუჩო ფურლანეტო, ხოსე კარერასი, მიშელ კრაიდერი, დოლორა ზაჯიკი, მონსერატ კაბალიე, დიმიტრი ხვოროსტოვსკი, ანდრეა ბოჩელი, პაატა ბურჭულაძე, ბადრი მაისურაძე, ლადო ათანელი, იანო ალიბეგაშვილი, თამარ ივერი, ეთერ ლამორისი, ნინო სურგულაძე, ნინო მაჩაიძე, ანიტა რაჭველიშვილი, ალექსანდრე კორსანტია, ლექსო თორაძე, ეთერ ანჯაფარიძე და სხვა.

ორკესტრს გამართული აქვს წარმატებული გასტროლები უნგრეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ისრაელში, მალტაზე, ესპანეთში, ლიბანში. უდიდესი წარმატება ხვდა წილად ორკესტრს და მთელ დასს შვედეთის პრესტიჟულ საოპერო მუსიკის ფესტივალზე.

Since 1860 the Symphony Orchestra of Tbilisi State Opera and Ballet Theatre begins its independent life and organizes concerts of symphony music with famous conductors as Shening and Catani. Together with the orchestra greatest performers have seen the Tbilisi scene. Among them were Giuseppe Verdi's spouse Giuseppina Streponi, the greatest basses of all times Fyodor Chaliapin, the brilliant pianist and founder of Tbilisi Conservatoire Arthur Rubinstein, Russian composer and virtuoso pianist Sergei Rakhmaninov and the genial Russian composer Pyotr Tchaikovsky. The orchestra took part in performances abreast with other groups touring in Tbilisi, such as: St. Petersburg Ballet Group (1852), Italian opera groups (1897-1898,1910), Viena Empire Operetta (1903), Moscow and St. Petersburg Comic Operas (1907), St. Petersburg Empire Ballet (1907,1908,1913).

In the XX century the orchestra was conducted by famous Georgian musicians: Eugene Mikeladze, Odissey Dimitriadi, Givi Azmaiparashvili, Jansug Kakhidze.

Worldwide famous performers have appeared on stage together with the Symphony Orchestra of Tbilisi State Opera and Ballet Theatre, namely: Placido Domingo, Ferruccio Furlanetto, Jose Carreras, Michele Crider, Dolora Zajik, Monserrat Caballe, Dimitri Khvorostovski, Andrea Bocelli, Paata Burchuladze, Badri Maisuradze, Lado Ataneli, Iano Alibegashvili, Tamar Iveri, Eteri Lamoris, Nino Surguladze, Nino Machaidze, Anita Rachvelishvili, Alexander Korsantia, Lexso Toradze, Eteri Anjaparidze.

The Orchestra has made successful tours to Hungary, Germany, France, Israel, Malta, Spain, Lebanon. The Orchestra along with the whole group has gained exceptional success at a prestigious festival of opera music in Sweden.




კონსტანტინე ამირეჯიბი დაიბადა 1964 წლის 7 აპრილს თბილისში. 1983-1989 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის, გრაფიკისა და კინოს მხატვრობის განხრით.

მხატვრის აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებაზე მეტყველებს მისი მრავალი პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენა.

პერსონალური გამოფენები: 1990წ. მ. თოიძის სახლ-მუზეუმი (თბილისი); 1991წ. ლოიოლას უნივერსიტეტი (ნიუ-ორლეანი, აშშ); 1999წ. გალერეა "TMS" (თბილისი); 2000წ. გამოფენა-კონცერტი საჯარო ბიბლიოთეკა (თბილისი); 2001წ. გალერეა "ორიენტი" (თბილისი); 2007წ. გალერეა "ვერნისაჟი" (თბილისი); 2008წ. გალერეა "ვერნისაჟი" (თბილისი); 2009წ. გალერეა "ვერნისაჟი" (თბილისი); 2011წ. ხელოვნების მე-6 საერთაშორისო ფესტივალი "აღდგომიდან ამაღლებამდე"; 2012წ. გალერეა "კოპალა" (თბილისი).

ჯგუფური გამოფენები: 1990წ. საუკეთესო სადიპლომო ნამუშევრების გამოფენა (სანქტ-პეტერბურგი, რუსეთი); 1992წ. გამოფენა – აუქციონი (თბილისი); 1993წ. ქართველ მხატვართა გამოფენა – აუქციონი (ბათუმი); 1996წ. ბერძნული თემატიკა ქართველ მხატვართა შემოქმედებაში (ათენი, საბერძნეთი); 2013წ. გამოფენა კლასიკური მუსიკის ფესტივალზე "Batumi Music Fest".

კონსტანტინე ამირეჯიბის ნამუშევრები დაცულია კერძო კოლექციებში საქართველოში, რუსეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, აშშ-ში, საფრანგეთში, იაპონიაში და გერმანიაში.

Konstantin Amirejibi was born on 7th of April 1964, Tbilisi. In 1983-1989 he studied on the faculty of painting, graphics and film art at the Tbilisi State Academy of Arts.

Professional artist's active creative life is highlighted in his numerous personal and group exhibitions.

Personal Exhibitions: 1990 - M.Toidze House Museum (Tbilisi); 1991 - Loyola University (New Orleans, the USA); 1999 - Gallery "TMS" (Tbilisi, Georgia); 2000 - Exhibition-concert at the National Library of Georgia (Tbilisi); 2001 - Gallery "Orient" (Tbilisi); 2007 - Gallery "Vernisage" (Tbilisi); 2008 - Gallery "Vernisage" (Tbilisi); 2009 - Gallery "Vernisage" (Tbilisi); 2011 - The 6th International Festival "From Easter to Ascension"; 2012 – Gallery "Kopala" (Tbilisi).

Collective Exhibitions: 1990 – Exhibition of the best Diploma Works (St. Petersburg, Russia); 1992 - Exhibition-Auction (Tbilisi); 1993 – Georgian Artists' Exhibition-Auction (Batumi); 1996 – Greek Themes in Georgian Artists' works (Athens, Greece); 2013 - Exhibition, Festival of classical music in Batumi "Batumi Music Fest".

Konstantin Amirejibi's works are kept in the personal collections in Georgia, Russia, Netherlands, Belgium, USA, France, Greece, Japan and Germany.











ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ფესტივალის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი**
თამარ ლიჩელი

**ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფი:**
მანანა ფაცურია
თამარ ლიჩელი

**სარედაქციო კოლეგია:**
მანანა ფაცურია
თამარ ლიჩელი
თამთა ფხაკაძე

**FOUNDER AND ARTISTIC DIRECTOR OF THE FESTIVAL**
Tamar Licheli

**ARTS GROUP:**
Manana Patsuria
Tamar Licheli

**EDITORIAL BOARD:**
Manana Patsuria
Tamar Licheli
Tamta Pkhakadze



n48/796 PP 2220